



საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

ფინანსური ტექნოლოგიები

2024

ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება: ფინანსური ტექნოლოგიები

უმაღლესი განათლების საფეხური: მეორე საფეხური (მაგისტრატურა)

კვალიფიკაციის დონე: დონე 7

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფინანსების მაგისტრი (0412.1.1)

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით: 0412 ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა Finance, banking and insurance

სწავლების ენა: ქართული

სწავლის ხანგრძლივობა: 2 წელი (4 სემესტრი)

პროგრამის მოცულობა: 120 ECTS (3000 საათი)

პროგრამის ხელმძღვანელი: ერეკლე ზარანდია, ასოცირებული პროფესორი.

პროგრამის აღწერა

ფინანსური ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამა შედგენილია დარგში არსებული თანამედროვე გამოწვევებისა და ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. ფინანსების, მისი მართვისა და გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტების ცოდნა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალისათვის. პროგრამა მიმართულია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) სწავლების შედეგების გამომუშავებაზე და ამ პროგრამის მიზანია მაგისტრანტებს შეუქმნას გარემო, სადაც ისინი შეძლებენ გაიღრმავონ საფინანსო დისციპლინების თეორიული ცოდნა, გაიუმჯობესონ კონტექსტის შეფასების უნარები, რადგან ეფექტიანად უპასუხონ პრაქტიკაში დასმულ ამოცანებსა და გამოწვევებს.

ფინანსური ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები მიიღებენ სრულყოფილ ცოდნას, თუ როგორ იკვებება ფინანსები და ტექნოლოგია. ფინანსური ტექნოლოგიები გახდა სწრაფად განვითარებადი და გავლენიანი სფერო, რომელმაც მოახდინა რევოლუცია ფინანსური სერვისების მიწოდების, წვდომისა და მართვის გზაზე. ფინანსური ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტებს მიაწოდოს თანამედროვე ცოდნა და საჭირო უნარები ფინანსების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტების აღჭურვას საჭირო ცოდნით სწრაფად განვითარებადი ფინანსურ სფეროზე ნავიგაციისთვის, განვითარებადი ტექნოლოგიების ძალის გამოყენებისა და ფინანსურ ინდუსტრიაში ინოვაციების გასაძლიერებლად.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ფინანსური ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის მიზნები შემუშავებულია იმისათვის, რომ პროგრამაზე ჩარიცხულ მაგისტრანტებს შეუქმნას გარემო, სადაც ისინი შეძლებენ გაიღრმავონ საფინანსო დისციპლინებით თეორიული ცოდნა, ასევე გაიუმჯობესონ ციფრული და ტექნოლოგიური უნარები, რათა უფრო გამართულად უპასუხონ პრაქტიკაში დასმულ ამოცანებსა და გამოწვევებს. ყოველივე ეს უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების კარგად ინფორმირებულობასა და მომზადებას წარმატებისთვის ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებად სფეროში.

სამაგისტრო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ტექნოლოგიების მენეჯმენტის მაგისტრი შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამის მიზნები

ფინანსური ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის მიზნებია, სტუდენტს:

- I. მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ფინანსურ ტექნოლოგიებში, სიახლეების პრაქტიკულ ფინანსურ გადაწყვეტილებებზე გადაქცევის მიზნით.
- II. შესძინოს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ფინანსური რესურსების ეფექტიანად მართვის უნარები;
- III. გამოუმუშაოს ფინანსურ ანგარიშგებებზე დაყრდნობით შესაბამისი დასკვნებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- IV. განუვითაროს ინოვაციური ბიზნეს პროექტების ინიცირებისა და მართვის უნარები;
- V. გამოავლინოს ფინანსურ სექტორში შეფერხების გამომწვევი მიზეზები ინოვაციური აზროვნების კულტივირებითა და ფინანსური ტექნოლოგიების გამოცდილების გაზიარებით.
- VI. შესძინოს ტექნიკური უნარები, რომლის საშუალებითაც შეძლებს ფინტექ აპლიკაციების შესაბამისი პრაქტიკული დავალებების შესრულებას.

პროგრამის სწავლის შედეგები

ფინანსური ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- I. სიღრმისეულად იცნობს ფინანსური ტექნოლოგიების ტერმინოლოგიას, მეთოდებს, ტენდენციებს, პრინციპებსა და თეორიებს;
- II. სისტემურად აანალიზებს ფინანსური სფეროს სტრუქტურას, ქვედარგებს შორის ურთიერთკავშირს და წარადგენს ბიზნესგარემოს ანალიზს;
- III. სიღრმისეულად აანალიზებს ფინანსურ სექტორში, ფინანსურ და ეკონომიკურ ცვლადებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას უახლესი მიღწევებისა და ინოვაციების საფუძველზე;
- IV. დამოუკიდებლად აანალიზებს არსებული ფინანსური ტექნოლოგიების როლს საფინანსო პროცესების მდგრადობაში;
- V. აფასებს უახლესი ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებულ რისკებსა და გავლენას ფინანსურ ბაზრებზე, ინსტიტუტებსა და სერვისებზე;
- VI. წარმართავს ტექნოლოგიური და სხვა ინოვაციური მიდგომებისა და მეთოდების ადაპტაციას პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად ფინანსების სფეროში;
- VII. სიღრმისეულად იცნობს მარეგულირებელი სფეროს დოკუმენტებს და აყალიბებს შესაბამისობის მოთხოვნებს ფინანსურ ტექნოლოგიებში;
- VIII. დამოუკიდებლად წარმართავს კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, თანამედროვე მიდგომების გამოყენებით და ახდენს შედეგების არგუმენტირებულად დემონსტრირებას დაინტერესებულ მხარეებთან.

კომპეტენციების რუკა
პროგრამის მიზნების შესაბამისობა სწავლის შედეგებთან

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგები							
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
პროგრამის მიზანი I	X		X	X	X		X	X
პროგრამის მიზანი II	X	X		X	X	X		
პროგრამის მიზანი III		X	X		X			
პროგრამის მიზანი IV			X	X	X	X		
პროგრამის მიზანი V		X	X	X	X	X	X	X
პროგრამის მიზანი VI		X	X	X	X	X		X

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულები

ფინანსური ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის, ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.

პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნულები, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები სწავლის თითოეულ შედეგს. ყველა სტუდენტი ვერ გავა სწავლის შედეგზე უმაღლესი ქულით. ამიტომ პროგრამის ხელმძღვანელისა და ძირითადი სასწავლო კურსების განმახორციელებლების მიერ განსაზღვრულია ზღვარი, რომლითაც ისინი კმაყოფილები იქნებიან და ჩათვლიან რომ პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ის ცოდნა და უნარები, რაც განსაზღვრულია სწავლის შედეგით.

სწავლის შედეგი	სასწავლო კურსი/კურსები	შეფასების რუბრიკა	შეფასების პერიოდი	შემფასებელი	სტუდენტთა რაოდენობა	სამიზნე ნიშნული
სიღრმისეულად იცნობს ფინანსური ტექნოლოგიების ტერმინოლოგიას, მეთოდებს, ტენდენციებს, პრინციპებსა და თეორიებს;	ფინანსური ტექნოლოგიები და რეგულირება	პროექტის პრეზენტაცია;	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 80%-ს.
	ფინანსური მენეჯმენტი და რისკების შეფასება	პრაქტიკული ამოცანები	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	მენეჯერული აღრიცხვა და საქმიანობის შედეგების მართვა	პრაქტიკული ამოცანები	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.

	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრების განვითარების პერსპექტივები	დასკვნითი გამოცდა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ფინანსური ბაზრების საინვესტიციო ანალიზი	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	რესურსების დაგეგმვა ERP მოდელები	პრაქტიკული პროექტები	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	ბიზნეს პროცესების ანალიზი	შუალედური გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	სამაგისტრო ნაშრომი	სამაგისტრო ნაშრომი	IV სემესტრი	სამეცნიერო ხელმძღვანელები	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
სისტემურად ფინანსური სტრუქტურას, შორის ურთიერთკავშირს და აანალიზებს სფეროს ქვედარგებს	ეკონომიკა ფინანსისტებისთვის	პრეზენტაცია	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 80%-ს.

წარადგენს ანალიზს;	ბიზნესგარემოს	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	სემინარზე აქტიურობა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
		ბიზნესის კვლევის მეთოდები	შუალედური გამოცდა, დასკვნითი გამოცდა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 80%-ს.
		ფინანსური მოდელირება (Excel)	ქვიზი	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
		ფინანსური მენეჯმენტი და რისკების შეფასება	დასკვნითი გამოცდა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
		მენეჯერული აღრიცხვა და საქმიანობის შედეგების მართვა	პრაქტიკული ამოცანები	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
		ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრების განვითარების პერსპექტივები	დასკვნითი გამოცდა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.

	მონაცემთა ბაზების მართვის თანამედროვე სისტემები (Sql, NoSql)	ქვიზი, ინდივიდუალური ამოცანა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	ფინანსური ბაზრების საინვესტიციო ანალიზი	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	რესურსების დაგეგმვა ERP მოდელები	პრაქტიკული პროექტები	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	ბიზნეს პროცესების ანალიზი	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	სამაგისტრო ნაშრომი	სამაგისტრო ნაშრომი	IV სემესტრი	სამეცნიერო ხელმძღვანელები	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
სიღრმისეულად აანალიზებს ფინანსურ სექტორში, ფინანსურ და ეკონომიკურ ცვლადებს შორის	ფინანსური ტექნოლოგიები და რეგულირება	შუალედური გამოცვა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.

ურთიერთდამოკიდებულებას უახლესი მიღწევებისა და ინოვაციების საფუძველზე;	ეკონომიკა ფინანსისტებისთვის	დასკვნითი გამოცდა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	სემინარზე აქტიურობა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	ბიზნესის კვლევის მეთოდები	შუალედური გამოცდა, დასკვნითი გამოცდა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	ფინანსური მოდელირება (Excel)	შუალედური გამოცდა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	მენეჯერული აღრიცხვა და საქმიანობის შედეგების მართვა	დასკვნითი გამოცდა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	მონაცემთა ბაზების მართვის თანამედროვე სისტემები (Sql, NoSql)	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.

	ფინანსური ბაზრების საინვესტიციო ანალიზი	პრაქტიკული ამოცანები	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	ბიზნეს პროცესების ანალიზი	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	სამაგისტრო ნაშრომი	სამაგისტრო ნაშრომი	IV სემესტრი	სამეცნიერო ხელმძღვანელები	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
დამოუკიდებლად აანალიზებს არსებული ფინანსური ტექნოლოგიების როლს საფინანსო პროცესების მდგრადობაში;	ფინანსური ტექნოლოგიები და რეგულირება	დასკვნითი გამოცდა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	სემინარზე აქტიურობა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	ფინანსური მოდელირება (Excel)	დასკვნითი გამოცდა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.

	ფინანსური მენეჯმენტი და რისკების შეფასება	პრაქტიკული ამოცანები	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	მენეჯერული აღრიცხვა და საქმიანობის შედეგების მართვა	პრაქტიკული ამოცანები	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრების განვითარების პერსპექტივები	სემინარზე აქტიურობა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.
	რესურსების დაგეგმვა ERP მოდელები	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	ბიზნეს პროცესების ანალიზი	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	სამაგისტრო ნაშრომი	სამაგისტრო ნაშრომი	IV სემესტრი	სამეცნიერო ხელმძღვანელები	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.

<p>აფასებს უახლესი ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებულ რისკებსა და გავლენას ფინანსურ ბაზრებზე, ინსტიტუტებსა და სერვისებზე;</p>	<p>ფინანსური ტექნოლოგიები და რეგულირება</p>	<p>პროექტის პრეზენტაცია;</p>	<p>I სემესტრი</p>	<p>კურსის განმახორციელებელი</p>	<p>30</p>	<p>სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 80%-ს.</p>
	<p>ბიზნესის კვლევის მეთოდები</p>	<p>შუალედური გამოცდა, დასკვნითი გამოცდა</p>	<p>I სემესტრი</p>	<p>კურსის განმახორციელებელი</p>	<p>30</p>	<p>სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.</p>
	<p>ფინანსური მოდელირება (Excel)</p>	<p>ქვიზი</p>	<p>II სემესტრი</p>	<p>კურსის განმახორციელებელი</p>	<p>30</p>	<p>სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.</p>
	<p>ფინანსური მენეჯმენტი და რისკების შეფასება</p>	<p>დასკვნითი გამოცდა</p>	<p>II სემესტრი</p>	<p>კურსის განმახორციელებელი</p>	<p>30</p>	<p>სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.</p>
	<p>ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრების განვითარების პერსპექტივები</p>	<p>სემინარზე აქტიურობა</p>	<p>II სემესტრი</p>	<p>კურსის განმახორციელებელი</p>	<p>30</p>	<p>სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.</p>
	<p>მონაცემთა ბაზების მართვის თანამედროვე სისტემები (Sql, NoSql)</p>	<p>ქვიზი, ინდივიდუალური ამოცანა</p>	<p>III სემესტრი</p>	<p>კურსის განმახორციელებელი</p>	<p>30</p>	<p>სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%-ს.</p>

	ფინანსური ბაზრების საინვესტიციო ანალიზი	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%-ს.
	სამაგისტრო ნაშრომი	სამაგისტრო ნაშრომი	IV სემესტრი	სამეცნიერო ხელმძღვანელები	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%.
წარმართავს ტექნოლოგიური და სხვა ინოვაციური მიდგომებისა და მეთოდების ადაპტაციას პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად ფინანსების სფეროში;	ფინანსური ტექნოლოგიები და რეგულირება	პროექტის პრეზენტაცია;	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 80%.
	ფინანსური მოდელირება (Excel)	დასკვნითი გამოცდა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%.
	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრების განვითარების პერსპექტივები	სემინარზე აქტიურობა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%.
	მონაცემთა ბაზების მართვის თანამედროვე სისტემები (Sql, NoSql)	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%.

	ფინანსური ბაზრების საინვესტიციო ანალიზი	პრაქტიკული ამოცანები	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%.
	რესურსების დაგეგმვა ERP მოდელები	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%.
	ბიზნეს პროცესების ანალიზი	დასკვნითი გამოცდა	III სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%.
	სამაგისტრო ნაშრომი	სამაგისტრო ნაშრომი	IV სემესტრი	სამეცნიერო ხელმძღვანელები	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%.
სიღრმისეულად იცნობს მარეგულირებელი სფეროს დოკუმენტებს და აყალიბებს შესაბამისობის მოთხოვნებს ფინანსურ ტექნოლოგიებში;	ფინანსური ტექნოლოგიები და რეგულირება	დასკვნითი გამოცდა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%.
	ეკონომიკა ფინანსისტებისთვის	პრეზენტაცია	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 80%.

	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	სემინარზე აქტიურობა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 80%.
	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრების განვითარების პერსპექტივები	სემინარზე აქტიურობა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%.
	სამაგისტრო ნაშრომი	სამაგისტრო ნაშრომი	IV სემესტრი	სამეცნიერო ხელმძღვანელები	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%.
დამოუკიდებლად წარმართავს კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, თანამედროვე მიდგომების გამოყენებით და ახდენს შედეგების არგუმენტირებულად დემონსტრირებას დაინტერესებულ მხარეებთან.	ეკონომიკა ფინანსისტებისთვის	პრეზენტაცია	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 80%.
	ბიზნესის კვლევის მეთოდები	შუალედური გამოცდა, დასკვნითი გამოცდა	I სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 40%.
	ფინანსური მოდელირება (Excel)	შუალედური გამოცდა	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%.

	ფინანსური მენეჯმენტი და რისკების შეფასება	პრაქტიკული ამოცანები	II სემესტრი	კურსის განმახორციელებელი	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%.
	სამაგისტრო ნაშრომი	სამაგისტრო ნაშრომი	IV სემესტრი	სამეცნიერო ხელმძღვანელები	30	სტუდენტთა 50% მიიღებს შეფასების მინიმუმ 60%.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

ფინანსური ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებია:

ჩარიცხვა საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე

ფინანსური ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც საერთო სამაგისტრო და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე მოიპოვებს პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლებას და უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები ტარდება სპეციალობასა და ინგლისურ ენაში. ინგლისურ ენაში კომუნიკაციის კომპეტენციის დადასტურება ასევე შესაძლებელია ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით.

საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე სწავლა დასაშვებია:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

ბ1) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე;

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ერთიანი სამაგისტრო გამოცდების გარეშე გათვალისწინებული პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ჩაატაროს გასაუბრება და უზრუნველყოს აღნიშნული გასაუბრების ვიდეო ჩანაწერის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობა.

მობილობის წესით ჩარიცხვა

ფინანსური ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან / პროგრამიდან მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე, მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.

მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი ან სტატუსშეწყვეტილ პირს, სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების/თანხმობის საფუძველზე.

სწავლების ორგანიზება

ფინანსური ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი) და ითვალისწინებს 120 ECTS კრედიტის დაგროვებას, რაც 3000 ასტრონომიულ საათს უტოლდება. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

კრედიტების განაწილება სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგისა და მიზნების მისაღწევად.

კრედიტის გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

ერთი აკადემიური წლის სრული დატვირთვა მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. აკადემიური (გაზაფხულის და შემოდგომის) სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.

სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, გამოცდის/დამატებითი გამოცდის ჩატარებისა და სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების პერიოდს.

პროგრამა დასრულებულად ითვლება, როცა სტუდენტი დააგროვებს არანაკლებ 120 ECTS კრედიტს, რაც გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სფეროს სავალდებულო და არჩევითი კომპონენტის შესრულებას.

სწავლება-სწავლის მეთოდები

ფინანსური ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და მიმართულია შესაბამისი კომპეტენციის განვითარებაზე.

სწავლა შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, როგორებიცაა ბეჭდური, ციფრული და სხვა სახის საგანმანათლებლო რესურსების დამოუკიდებლად დამუშავება/განმარტება/ინტერპრეტირება, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოს შესრულება, პროფესიული საქმიანობის ანგარიშის მომზადება, წერილობითი დავალებების შესრულება, კვლევითი ნაშრომის/პროექტის/თეზისის დამოუკიდებლად მომზადება და სხვ. სწავლებისას, აქცენტი უნდა გაკეთდეს სტუდენტის მიერ საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების რეგულარულად გამოყენების შესაძლებლობებზე. ეს მიდგომა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში და მის მიერ თეორიის პრაქტიკაში გამოყენებას რეალური ან რეალურთან მიახლოებული სიტუაციებისა და შემთხვევების ფარგლებში.

სწავლება-სწავლისათვის გამოყენებული მეთოდები ერთმანეთს სრულყოფს და კვეთს. სასწავლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შეუძლია მრავალი განსხვავებული მეთოდით იხელმძღვანელოს. საგანმანათლებლო პროგრამის კურსების ფარგლებშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მეთოდების, განსაკუთრებით თანამშრომლობითი მეთოდების გამოყენება, რაც სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში აქტიურად გამოყენებას მოითხოვს.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალი იყენებს სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდებს. საგანმანათლებლო კურსები მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებული ფორმატითა და სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდით წარიმართება. თითოეული კურსის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო მეთოდები და აქტივობები მიმართულია სტუდენტების დაინტერესებასა და საჭირო უნარების განვითარებაზე. გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. ლექტორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე, ხშირ შემთხვევაში

ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, ირჩევს ლექტორი.

ლექცია - შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობს ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული.

ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

დამოუკიდებელი მუშაობა ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით. სტუდენტს უნდა აღეძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

წიგნზე მუშაობის მეთოდი დამოუკიდებლად მიცემული საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი.

წერითი მუშაობის მეთოდი გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.

პრაქტიკული მეთოდები აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შექმნილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას.

დისკუსია/დებატები ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამადლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს სასწავლო კურსის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - შემთხვევების შესწავლა, აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ. ქვისების ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (ქვისების) განხილვაზე. ქვისი წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად ავითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.

გონებრივი იერიში (Brain storming) მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა.
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

დემონსტრირების მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორცაა, მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორცაა მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარება.

ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა–განმარტებითი მეთოდი ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

ლაბორატორიული მეცადინეობა უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას. სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.
- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.
- მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას ლექტორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.

სამაგისტრო ნაშრომი მაგისტრატურის საფეხურის დამამთავრებელი ეტაპია და მისი მიზანია სპეციალობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და კონკრეტული სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური თუ პროფესიული ამოცანების

დასაბუთებული გადაწყვეტა. ნაშრომმა უნდა გამოავლინოს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის მეთოდებისა და ექსპერიმენტების დაუფლების დონე და მომავალი პროფესიული საქმიანობის პირობებში სტუდენტის მზადყოფნა დამოუკიდებელი მუშაობისთვის. კონსულტაცია - სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთან სტუდენტის მიერ გამოყენებული საკონტაქტო დრო, როდესაც სტუდენტი იღებს ინფორმაციას შესასრულებელი ნაშრომის ფარგლებში გეგმის შედგენის, ემპირიული მასალის მოძიების, დამუშავების, ნაშრომის შინაარსობრივი ნაწილის დასკვნების გამოტანის, ნაშრომის ტექნიკური გაფორმების, მისი საპრეზენტაციოდ მომზადების საკითხებში.

შეფასების სისტემა

სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, სპეციფიკის, აგრეთვე მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გათვალისწინებით, დაადგინოს შეფასებებისაგან განსხვავებული მინიმალური დადებითი შეფასება, რომელიც არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები და 60 ქულაზე მეტი.

FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებებით კომპეტენციის ზღვარის დაძლევა (შუალედური შეფასებით არანაკლებ 11 ქულის დაგროვება).

დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30%-ს - არანაკლებ 12 ქულას.

კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100-დან არანაკლებ 51 ქულის დაგროვება და შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.

შეფასების კომპონენტი

სტუდენტის შეფასება პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში მოიცავს შეფასების ორ ფორმას - შუალედურ შეფასებასა და დასკვნით შეფასებას.

შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რომელიც გაწერილია შესაბამისი პროგრამის სილაბუსებში და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის სემესტრის დასაწყისში, სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში - emis.seu.edu.ge.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ სასწავლო კომპონენტში, სტუდენტის საბოლოო შეფასების განსაზღვრისათვის, შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა), შუალედური შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით შეფასებას - 40 ქულა. შუალედურ და დასკვნით შეფასებას დადგენილი აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც დგინდება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსით. გამონაკლისი დგინდება კონკრეტული პროგრამის/სასწავლო კომპონენტის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის ინტერნაციონალიზაცია

- [Polytechnic Institute of Bragança](#);
- [University of Turiba](#);
- [EU Business School](#);
- [Tomas Bata University in Zlín](#);
- [Universitat Jaume I](#);
- [Romanian American University](#).

პარტნიორი ორგანიზაციები

- შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ (საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი);
- შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდაფ;
- შპს allmarket.ge;
- შპს იზიკრედ ჯორჯია;
- სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“;
- სს „საქართველოს ბანკი“;
- სს „თიბისი ბანკი“;
- ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი;
- შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ბიზნეს სტარტაპ კრედიტი.

დასაქმების სფერო

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ფინანსური ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამა აერთიანებს ფინანსურ და ტექნოლოგიურ კომპონენტებს. შესაბამისად, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა პროფესიული წინსვლისთვის. პროგრამა სტუდენტებს აწვდის ცოდნას და უვითარებს უნარებს, რომლებზეც მოთხოვნა დიდია სხვადასხვა ინდუსტრიაში.

კურსდამთავრებულებს აქვთ პოტენციალი ფინანსების მომავლის ჩამოყალიბებაში, ინოვაციების განხორციელებაში დამკვიდრებულ ინსტიტუტებში დასაქმებაში ან სტარტაპების მართვაში. ფინანსური ლანდშაფტის განვითარებასთან ერთად მოთხოვნა ფინტექის სპეციალისტებზე მნიშვნელოვნად იზრდება.

ფინანსური ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული დასაქმებას შეძლებს შემდეგ სფეროებში:

1) ფინანსური ინსტიტუტები - ტრადიციული ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც იყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს მომხმარებელთა გამოცდილების გასაუმჯობესებლად, ოპერაციების გასამარტივებლად და ინოვაციური ფინანსური პროდუქტების შესაქმნელად.

2) Fintech სტარტაპები - ბევრ სტარტაპს შემოაქვს სიახლეები ფინანსურ ინდუსტრიაში ახალი გადაწყვეტილებებით, როგორებიცაა მობილური გადახდები, რობო მრჩეველები, ბლოკჩეინის აპლიკაციები და სხვა.

3) საკონსულტაციო ფირმები - საკონსულტაციო ფირმები კონსულტაციებს უწევენ ფინანსურ ინსტიტუტებს ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგიების, რეგულაციების შესაბამისობისა და ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით.

4) ტექნოლოგიური კომპანიები - ტექნოლოგიური გიგანტები, რომელთაც აქვთ ფინანსური რესურსები ან განყოფილებები, რომლებიც ორიენტირებულია ციფრულ გადახდებზე, სესხებზე და ფინტექის სხვა სერვისებზე.

5) საინვესტიციო ფირმები - საინვესტიციო შესაძლებლობების გასაანალიზებლად ტექნიკურად ორიენტირებულ ფინანსურ საწარმოებში.

6) მარეგულირებელი და შესაბამისობის ორგანოები - მარეგულირებელი ორგანოები, რომელთაც სჭირდებათ განვითარებად ლანდშაფტში შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ფინანსური ტექნოლოგიების მცოდნე სპეციალისტები.

7) სადაზღვევო კომპანიები - სადაზღვევო ინდუსტრიის წარმომადგენლები, რომლებიც იყენებენ ტექნოლოგიას მონაცემთა ანალიზის, მომხმარებელთა შენიშვნების დასამუშავებლად და მომხმარებელთა უკუკავშირისთვის.

8) მთავრობა და საჯარო სექტორი - საჯარო სუბიექტები, რომელთაც ესაჭიროებათ ფინტექის ექსპერტები, რათა ხელი შეუწყონ ინოვაციას, ფინანსურ ინკლუზიასა და ციფრულ მმართველობას სამთავრობო სერვისებში.

9) კვლევა და აკადემია - კურსდამთავრებულებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ კვლევაში, ინოვაციებსა და განათლებაში, გახდნენ მკვლევარები, პედაგოგები ან ექსპერტ ლიდერები ფინტექში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ფინანსური ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურაში), საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების დაცვით.

პროგრამის რესურსები

მატერიალური რესურსი

ფინანსური ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილ კამპუსში, უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ყველა აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

უნივერსიტეტში გამოყოფილია კომპიუტერული კლასები პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობისათვის, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. კომპიუტერების მონაცემები და მათი რაოდენობა სრულად იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების საშუალებას, როგორც პროგრამული, ასევე ტექნიკური უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების მომსახურებაზე. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

ფინანსური ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება პროგრამის ბიუჯეტით. ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და ლიტერატურის მუდმივ განახლებაზე, სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, აკადემიური/მოწვეული პერსონალის სახელფასო დანახარჯებსა და მათი ნაშრომების გამოცემა-დაბეჭდვაზე. ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის სამეცნიერო მივლინებების ხარჯები, სტუდენტთა დაფინანსება გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო ტრენინგებსა და კონფერენციებში.

პროგრამის ხარისხის მონიტორინგი

პროგრამის ხარისხის მონიტორინგი

ფინანსური ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური/მოწვეული, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში ხდება პროგრამის მოდიფიცირება/განვითარება.

ხარისხის განვითარების დეპარტამენტი ატარებს რეგულარულ ანალიზსა და ხარისხის გაუმჯობესების სხვა აქტივობებს, რომლებიც შედგება შემდეგი გამოკითხვებისაგან:

- ლექტორისა და სასწავლო კურსის შეფასება სტუდენტების მიერ (სემესტრში ერთხელ);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება სტუდენტების მიერ (მიაღწიეს თუ არა პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს) (სწავლის ბოლო წელს);
- უნივერსიტეტის ინსტიტუციური შეფასება სტუდენტების მიერ (წელიწადში ერთხელ);
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება სტუდენტის მიერ (სამაგისტრო ნაშრომის დასრულებისას);
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა (პროგრამის დასრულებიდან ექვსი თვის შემდეგ);
- დამსაქმებელთა გამოკითხვა (წელიწადში ერთხელ)
- სასწავლო კურსის თვითშეფასება (ლექტორის მიერ, სემესტრში ერთხელ);

- პროგრამის თვითშეფასება (პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, წელიწადში ერთხელ).

თითოეული გამოკითხვა გაანალიზებულია და განსაზღვრულია ტენდენციები უნივერსიტეტის მასშტაბით. ასევე, სტრუქტურული ერთეულების, ფაკულტეტების და საგანმანათლებლო პროგრამების დონეზე. გამოკითხვები და კვლევები საშუალებას იძლევა გაკეთდეს შედარებითი ანალიზი ფაკულტეტებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს შორის. შედარებითი ანალიზი ხორციელდება ხარისხის განვითარების დეპარტამენტის მიერ და შედეგები მიეწოდება ყველა დაინტერესებულ მხარეებს. ხარისხის განვითარების დეპარტამენტი გეგმავს ტრენინგების ორგანიზებას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართულ პერსონალთან და სტუდენტებთან, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს შესაძლებლობები ამ პროცესებში მათი აქტიური მონაწილეობისთვის.

სასწავლო გეგმა

	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS	სულ საათები	დაშვების წინაპირობა	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა						კრედიტების სემესტრული განაწილება			
					ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა ან შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო	დამოუკიდებელი მუშაობა	I	II	III	IV	
ძირითადი სწავლების სფეროს სასწავლო კურსები														
N	სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	108	შესაბამის სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტების რაოდენობა								I	II	III	IV
											24	30	30	24
1.	ფინანსური ტექნოლოგიები და რეგულირება	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120	6			
2.	ეკონომიკა ფინანსისტებისათვის	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120	6			
3.	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	9	225	არ აქვს	13	24	2	3	42	183	9			

4.	ბიზნესის კვლევის მეთოდები	9	225	არ აქვს	13	24	3	3	43	182	9			
5.	ფინანსური მოდელირება (Excel)	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120		6		
6.	ფინანსური მენეჯმენტი და რისკების შეფასება	9	225	არ აქვს	13	24	2	3	42	183		9		
7.	მენეჯერული აღრიცხვა და საქმიანობის შედეგების მართვა	9	225	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	13	24	2	3	42	183		9		
8.	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრების განვითარების პერსპექტივები	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120		6		
9.	მონაცემთა ბაზების მართვის თანამედროვე სისტემები (SQL, NoSQL)	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120			6	
10.	ფინანსური ბაზრების საინვესტიციო ანალიზი	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120			6	
11.	რესურსების დაგეგმვა ERP მოდელები	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120			6	
12.	ბიზნეს პროცესების ანალიზი	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120			6	

13.	სამაგისტრო ნაშრომი	24	600	სავალდებულო სასწავლო კურსები	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება ხდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების წესის შესაბამისად.						24			
N	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	12	შესაბამის სემესტრში ასათვისებელი არჩევითი კრედიტების რაოდენობა								I	II	III	IV
													6	6
1.	ბიუჯეტირება	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120				
2.	რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის	6	150	არ აქვს	11	14	2	3	30	120				
3.	ადამიანური რესურსების მართვა და HR ანალიზი	6	150	არ აქვს	12	13	2	3	30	120				
4.	Agile მეთოდოლოგია და ტექნოლოგიები	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120				
5.	მარკეტინგის ანალიზი	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120				
6.	ინფორმაციული უსაფრთხოება	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120				
7.	სამეცნიერო წერა	6	150	არ აქვს	13	12	2	3	30	120				
სულ		120									30	30	30	30

ადამიანური რესურსი

N	სასწავლო კურსი	კურსის განმახორციელებელი	სტატუსი
სავალდებულო სასწავლო კურსები			
1.	ფინანსური ტექნოლოგიები და რეგულირება	გიორგი როსტიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
2.	ეკონომიკა ფინანსისტებისათვის	ერეკლე ზარანდია	ასოცირებული პროფესორი
		ნათია გელაშვილი	მოწვეული ლექტორი
3.	ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება	პაატა შურღია	ასოცირებული პროფესორი
		ქეთევან ლუდუშაური	მოწვეული ლექტორი
4.	ბიზნესის კვლევის მეთოდები	ვალერი მოსიაშვილი	პროფესორი
		გიორგი მამნიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
5.	ფინანსური მოდელირება (EXCEL)	გიორგი კობხრიძე	ასისტენტ-პროფესორი
		ლია პიტურიშვილი	ასისტენტ-პროფესორი
6.	ფინანსური მენეჯმენტი და რისკების შეფასება	ნინო სამჭკუაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		ერეკლე ზარანდია	ასოცირებული პროფესორი
7.	მენეჯერული აღრიცხვა და საქმიანობის შედეგების მართვა	ნელი სესაძე	ასოცირებული პროფესორი
		ქეთევან ლუდუშაური	მოწვეული ლექტორი
8.	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრების განვითარების პერსპექტივები	ვალერი მოსიაშვილი	პროფესორი
		ანა ჩხიკვაძე	მოწვეული ლექტორი
9.	მონაცემთა ბაზების მართვის თანამედროვე სისტემები (SQL, NoSQL)	გულნარა ჯანელიძე	პროფესორი
		გიორგი კობხრიძე	ასისტენტ-პროფესორი
10.	ფინანსური ბაზრების საინვესტიციო ანალიზი	ნინო სამჭკუაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		გვანცა სოლოღაშვილი	მოწვეული ლექტორი
11.	რესურსების დაგეგმვა ERP მოდელები	გიორგი ქამადაძე	მოწვეული ლექტორი
		ხატია კობერიძე	მოწვეული ლექტორი

12.	ბიზნეს პროცესების ანალიზი	ხატია კობერიძე	მოწვეული ლექტორი
		ნინო ბლიაძე	მოწვეული ლექტორი
13.	სამაგისტრო ნაშრომი	მურად ნარსია	პროფესორი
		ერეკლე ზარანდია	ასოცირებული პროფესორი
		გიორგი როსტიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		ნელი სესაძე	ასოცირებული პროფესორი
		ნონა ქავთარაძე	ასოცირებული პროფესორი
		ნინო სამჭკუაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		ლია პიტიურიშვილი	ასისტენტ-პროფესორი
		მზევიანარ ნოზაძე	მოწვეული ლექტორი
არჩევითი სასწავლო კურსები			
14.	ბიუჯეტირება	გიორგი როსტიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		ირაკლი ბენდელიანი	მოწვეული ლექტორი
15.	რაოდენობრივი მეთოდები ფინანსებისთვის	გიორგი ღლონტი	მოწვეული ლექტორი
16.	ადამიანური რესურსების მართვა და HR ანალიზი	დავით ჩახვაშვილი	პროფესორი
17.	Agile მეთოდოლოგია და ტექნოლოგიები	თამარი გობეჯიშვილი	ასისტენტ-პროფესორი
		ნინო ხურცილავა	მოწვეული ლექტორი
		ლელა ფარქოსაძე	მოწვეული ლექტორი
18.	მარკეტინგის ანალიზი	რუსუდან ბერიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
		ლია ხმიადაშვილი	მოწვეული ლექტორი
19.	ინფორმაციული უსაფრთხოება	ლევანი ჯულაყიძე	მოწვეული ლექტორი
20.	სამეცნიერო წერა	თამარ კაკუტია	პროფესორი
		დავით ტაბატაძე	მოწვეული ლექტორი

აკადემიური/მოწვეული პერსონალი

N	სახელი და გვარი	სტატუსი	აფილირება
1.	ვალერი მოსიაშვილი	პროფესორი	აფილირებული
2.	დავით ჩახვაშვილი	პროფესორი	აფილირებული
3.	მურად ნარსია	პროფესორი	აფილირებული
4.	გულნარა ჯანელიძე	პროფესორი	
5.	თამარ კაკუტია	პროფესორი	
6.	გიორგი როსტიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
7.	ერეკლე ზარანდია	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
8.	პაატა შურღია	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
9.	გიორგი მამნიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
10.	ნინო სამჭკუაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
11.	ნელი სესაძე	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
12.	რუსუდან ბერიაშვილი	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
13.	ნონა ქავთარაძე	ასოცირებული პროფესორი	აფილირებული
14.	ლია პიტიურიშვილი	ასისტენტ-პროფესორი	აფილირებული
15.	თამარი გომეჯიშვილი	ასისტენტ-პროფესორი	აფილირებული
16.	გიორგი კოხრეიძე	ასისტენტ-პროფესორი	
17.	ნათია გელაშვილი	მოწვეული ლექტორი	
18.	ქეთევან ღუდუშაური	მოწვეული ლექტორი	
19.	ანა ჩხიკვაძე	მოწვეული ლექტორი	
20.	გვანცა სოლოლაშვილი	მოწვეული ლექტორი	
21.	გიორგი ქამადაძე	მოწვეული ლექტორი	

22.	ხატია კობერიძე	მოწვეული ლექტორი	
23.	ნინო ბლიაძე	მოწვეული ლექტორი	
24.	ირაკლი ბენდელიანი	მოწვეული ლექტორი	
25.	გიორგი ღლონტი	მოწვეული ლექტორი	
26.	მზევინარ ნოზაძე	მოწვეული ლექტორი	
27.	ნინო ხურცილავა	მოწვეული ლექტორი	
28.	ლელა ფარქოსაძე	მოწვეული ლექტორი	
29.	ლია ხმიადაშვილი	მოწვეული ლექტორი	
30.	ლევანი ჯულაყიძე	მოწვეული ლექტორი	
31.	დავით ტაბატაძე	მოწვეული ლექტორი	